საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4249
06/06/2023

4249-21-2-202306061232

შპს „ქიმერას“
მის: კასპის რაიონი, სოფ. მეტეხი, მე–7 ქ., N 6
ელ. ფოსტა: grexviashvili@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4057 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხში სასარგებლო წიაღისეულის (ღორღი) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- არ არის წარმოდგენილი სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის განთავსების წერტილის GPS კოორდინატები;
- დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო საწარმოს ემიჯნება შპს „გიოთეს“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო. წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, 2023 წლის 7 აპრილს შპს „გიოთეს“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა წერილი №2992, რომლითაც მოთხოვნილ იქნა №14081 სკრინინგის განცხადებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა. ვინაიდან, შპს „გიოთეს“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელ საწარმოზე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1349), სააგენტოში წარმოდგენილ უნდა იქნეს განცხადება სკრინინგის გადაწყვეტილების (ბრძანება №2-1349) ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, თუ აღარ იგეგმება 2021 წლის 13 სექტემბერს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება. დამატებით გაცნობებთ, რომ შპს „გიოთეს“სკრინინგის გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით სააგენტოსთვის არ მოუმართავს;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტის შესახებ ინფორმაცია, ასევე, „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხი;

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოში ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანისათვის საჭირო სატრანსპორტო ოპერაციების შესახებ (მათ შორის, სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა, მისასვლელი გზები და სხვა.);
- ვინაიდან, დოკუმენტის თანახმად, საპროექტო საწარმოდან 500 მეტრიან რადიუსში ფიქსირდება ანალოგიური პროფილის მქონე ობიექტები, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას აღნიშნული საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ, როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ისე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების კუთხით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო